

ექსპერტ კოორდინატორი

სამუშაოს მოკლე აღწერილობა:

პროექტის მიზანია სოციალურ მომსახურების სააგენტოს ბენეფიციართათვის სოციალური მომსახურების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება.

ამ მიზნის მისაღწევად პროექტის ამოცანებია:

1. სააგენტოს სოციალური სამუშაოს არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და გაანალიზება;
2. „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული სფეროებში ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დელეგირების პროცესში თემის სოციალური მუშაკთათვის სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გამოვლენა, მონიტორინგისა და ზედამხედველობის ინსტრუმენტების შექმნა.
3. სოციალური სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების გზების დასახვა მათ შორის სტანდარტული პროცედურების განსაზღვრა, პროფესიული კვალიფიკაციის საჭიროებების გამოვლენა, სუპერვიზიის მექანიზმის შემუშავება და სხვა;

ანალიზი იწარმოებს სააგენტოს სოციალური სამუშაოს ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით:

4. ბავშვთა კეთილდღეობა და უფლებები
5. სახელმწიფო ზრუნვის ფორმები და რეინტეგრაცია
6. შვილად აყვანა (ქვეყნის შიდა ასევე საერთაშორისო)
7. მეურვეობა-მზრუნველობა და მხარდაჭერა
8. ძალადობა ბავშვთა მიმართ და ოჯახში
9. შშმ პირებთა და ხანდაზმულთა 24 საათიანი ინსტიტუციური ზრუნვა
10. მოწყვლადი ჯგუფების პრევენციული ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროექტის ფარგლებში დასაქმებული იქნება უცხოელი ექსპერტი და ამოცანების შესასრულებლად სოციალურ მომსახურების სააგენტოში შეიქმნება დაინტერესებული მხარეებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, სამინისტროსა და UNICEF-ის მონაწილეობით.

ექსპერტ კონსულტანტი ადმინისტრირებს გრანტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ყველა მიმართულების დაწყების და განხორციელების პროცესში

- ✓ ადმინისტრირება და კოორდინაცია მოახდინოს პროექტში ჩართული სხვა პირების საქმიანობის
- ✓ ორგანიზება და დაგეგმვა შეხვედრებისა როგორც ფოკუს ჯგუფებში ასევე სამუშაო ჯგუფში
- ✓ დაეხმაროს უცხოელ ექსპერტს ტექნიკური საკითხების ორგანიზებაში
- ✓ ანალიზის დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობა
- ✓ კვლევის შედეგად უცხოელი ექსპერტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე სოპ-ების შემუშავება.
- ✓ ექსპერტ იურისტთან ერთად არსებული ნორმატიულ აქტებთან შექმნილი ინსტრუმენტების სინქრონიზება
- ✓ ლოჯისტიკური საქმიანობა
- ✓ ხელშეკრულების 4.1 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადება და დონორთან გადაგზავნა

სამიზნე ჯგუფები:

- სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ცენტრალური აპარატი, შერჩევითად მეურვეობა-მზრუნველობის საბჭოს წევრები ასევე სოციალური მუშაკები, იურისტები, ფსიქოლოგები.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ✓ უმაღლესი განათლება
- ✓ სოციალურ სფეროში მუშაობის 4 წლიანი გამოცდილება
- ✓ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება
- ✓ საქართველოში, სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულთა სოციალური სამუშაოს პრაქტიკის კარგი ცოდნა;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება

სასურველი მოთხოვნები :

- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარ-ჩვევები;
- ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარები.
- უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა

სამართლებრივი აქტების ძირითადი დებულებებისა და პრინციპების ცოდნა:

- ბავშვის უფლებათა კონვენცია;

- „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის კონვენცია საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია მეჩვიდმეტე სესია შემაჯამებელი აქტი ჰააგა, 1993 წლის 29 მაისი;
- „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ სტამბოლი, 2011 წლის 11 მაისი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
- „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის კონვენცია“
- „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია;
- სამოქალაქო კოდექსის წიგნი მეხუთე-საოჯახო სამართალი;
- „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N601 დადგენილება;
- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება;

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები:

- Microsoft Office Word- კარგი;
- Microsoft Office Excel -კარგი;
- Microsoft Office PowerPoint -კარგი.

დამატებითი ინფორმაცია:
არასრული სამუშაო განაკვეთი

კონკურსის ეტაპები:

- ✓ I ეტაპი - გასაუბრება;

დაინტერესებულმა პირებმა CV და სამოტივაციო წერილი უნდა გააგზავნონთ ელ - ფოსტაზე: mtsereteli@ssa.gov.ge.